სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ ლაბორატორიული შენობის საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადება და ტექნიკური დავალება

(CPV 45200000)

დაფინანსების წყარო: – საკუთარი შემოსავლები.

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

თბილისი
2014

სარჩევი

1. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ..... 3
2. ტექნიკური დავალება 4
3. საკონკურსო წინადადების წარდგენა----------9
4. საკონკურსო წინადადების შეფასების წესი----------10
5. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები ----------11
6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....12
7. დანართი №1----------16
8. დანართი №2.....17

1. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. სსიპ `საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია~ აცხადებს კონკურსს საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის მიზანია, ქ. თბილისში, გოძიაშვილის ქ. #65-ში მდებარე ლაბორატორიის კუთვნილ ტერიტორიაზე ასაშენებელი, ფიტო-სანიტარული ლაბორატორიისთვის განკუთვნილი შენობის პროექტის შესყიდვა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: - 14000 (თოთხმეტი ათასი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
4.1. საფასურის გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე: **http://procurement.gov.ge**

საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ. გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

5. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, არ განიხილება. ხოლო ამ განცხადების მე-4-მე-5 პუნქტების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო წინადადება დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. საკონკურსო წინადადება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

7. უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტი მიენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადებების მიღება იწყება 2014 წლის 04 აგვისტოს 10:00 სთ-ზე.

9. საკონკურსო წინადადებების მიღება მთავრდება 2014 წლის 04 აგვისტოს 16:00 სთ-ზე.

10. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადედებები უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. #65.

11. კონკურსში მონაწილე პირის საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (14 000 ლარი) არ განიხილება.
14. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, მისამართზე: თბილისი, გოძიაშვილის ქუჩა #65 (ვაშლიჯვარი), საკონტაქტო პირი იზოლდა მაისურაძე, ტელ: 253 09 68.

2. ტექნიკური დავალება

2.1. საკონკურსო პირობების თანახმად, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში, გოძიაშვილის ქ. №65-ში მდებარე სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ტერიტორიაზე ფიტო-სანიტარული ლაბორატორიის სამშენებლო პროექტი.
2.2. შენობის საერთო ფართობი უნდა შეადგენდეს – 400კვ.მ-ს.

2.3. შენობის კედლები გარე პერიმეტრზე უნდა გაკეთდეს `სენდვიჩ პანელებით`, შიდა ტიხრები თაბაშირ მუყაოთი. ჭერის სიმაღლე – 3 -3,5მ. ლაბორატორიაში კედლები უნდა შეიღებოს ანტიბაქტერიული საღებავით, რომელიც უნდა იწმინდებოდეს სარეცხი საშუალებებით ისე, რომ არა აზიანებდეს ზედაპირს.

- იატაკი - მაღალი ხარისხის ვინილის მასალა. იატაკს უნდა გაუკეთდეს 10 სმ სიმაღლის პლინტუსები ვინილით,
- ფანჯრები - მაღალი ხარისხის ალუმინი, გასათვალისწინებელია, რომ ფარჯრები სველი წერტილების გარდა არსად არ უნდა იღებოდეს.

ლაბორატორიაში სავენტილაციო სისტემა ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროექტი უნდა შეიცავდეს ცენტრალურ სავენტილაციო სისტემას; მოლეკულურ განყოფილებაში უნდა მოეწყოს ინდივიდუალური სავინტილაციო სისტემა.
ლაბორატორიის საკანალიზაციო სისტემის თავმოყრა უნდა მოხდეს ერთ ჭაში, რომელიც პერიოდულად დაიქლორება.
როზეტების და ჩარმთველების სიმაღლე იატაკიდან 1,0 მ–დან 1,2მ–მდე.
ლაბორატორიაში განთავსებული სველი წერტილები მოპირკეთებული უნდა იყოს კერამიკული ფილებით.
ჭერი – შეკიდული ან თაბაშირ–მუყაო (გიბსოკარდონი)

2.4. პროექტი შედგება ორი ნაწილისაგან: ლაბორატორიული და დამხმარე ნაწილებისაგან.
2.4.1. პროექტის შედგენისას შენობის ლაბორატორიულ ნაწილში ოთახების განლაგება უნდა მოხდეს შემდეგი სქემის მიხედვით:



ლაბორატორიული ნაწილი
ენტომოლოგიის განყოფილება: - 30მ²
მიკოლოგიის განყოფილება: -30მ²;
ბაქტერიოლოგიის განყოფილება: – 30მ²;
ვირუსოლოგიის განყოფილება:– 20მ²
ჰელმინთოლოგიის განყოფილება: – 35მ²
ჰერბოლოგიის განყოფილება: – 25მ²
მოლეკულური განყოფილება: – 60 მ²
საპრეპარატო განყოფილება: – 30მ²

ენტომოლოგიის განყოფილება:
საერთო ფართობი: – 30მ^2 ოთახების რაოდენობა: 2
ოთახი # 1: ფართობი – 20მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა:1
როზეტების რაოდენობა: 8
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური
ოთახი # 2: ფართობი – 10მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 4
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

მიკოლოგიის განყოფილება:
ოთახი # 3: ფართობი – 30მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 10
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

ბაქტერიოლოგიის განყოფილება:
ოთახი # 4: ფართობი – 30მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 10
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

ვირუსოლოგიის განყოფილება:
საერთო ფართობი: – 20მ^2 ოთახების რაოდენობა: 1
ოთახი # 5: ფართობი – 20მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 8
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

ჰელმინთოლოგიის განყოფილება:

საერთო ფართობი: – 35მ^2 ოთახების რაოდენობა: 2
ოთახი # 6: ფართობი – 20მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა: 2
როზეტების რაოდენობა: 4
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

ოთახი # 7: ფართობი – 15 მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 5
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

ჰერბოლოგიის განყოფილება:
საერთო ფართობი: – 25მ^2 ოთახების რაოდენობა: 1
ოთახი # 8: ფართობი – 25მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 8
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალიზებული

მოლეკულური განყოფილება:
საერთო ფართობი: – 60 მ^2 ოთახების რაოდენობა: 3
ნიმუშის მოსამზადებელი ოთახი
ოთახი # 9: ფართობი – 15 მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 1
სველი წერტილების (ნიჟარა)რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 6
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;

სუფთა ოთახი
ოთახი # 10: ფართობი – 15 მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 1
სველი წერტილების (ნიჟარა)რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 6
ჩარმთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
PCR ოთახი
ოთახი # 11: ფართობი – 15 მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
როზეტების რაოდენობა: 6

ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;

ელექტროფორეზის ოთახი
ოთახი # 12: ფართობი – 15 მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
როზეტების რაოდენობა: 6
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ინდივიდუალური

საპრეპარატო განყოფილება:
საერთო ფართობი: – 30მ^2 ოთახების რაოდენობა: 2
ოთახი # 13: ფართობი – 15მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 1
სველი წერტილების (ნიჟარა)რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 4
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 ლუქსი;

ოთახი # 14: ფართობი – 15მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 1
სველი წერტილების (ნიჟარა)რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 4
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

2.4.2. ლაბორატორიული შენობის დამხმარე ნაწილი სასურველია განლაგდეს შემდეგი სქემის მიხედვით:



მისაღები:
ოთახი # ფართობი – 20 მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
როზეტების რაოდენობა: 4
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური
კოლექციების ოთახი:
საერთო ფართობი: 40 მ^2 ოთახების რაოდენობა 2
ოთახი # 15: ფართობი – 20მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 1

სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა: 0
როზეტების რაოდენობა: 4
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 ლუქსი;

ოთახი # 16: ფართობი – 20მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 1
სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა: 0
როზეტების რაოდენობა: 4
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

საწყობი:
ოთახი # 17: ფართობი – 20მ^2;
ფანჯრების რაოდენობა: 2
სველი წერტილების (ნიჟარა) რაოდენობა: 1
როზეტების რაოდენობა: 6
ჩამრთველების რაოდენობა: 1
განათება: 600 -800 ლუქსი;
სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური

ტუალეტი - 2 ოთახი -10მ^2
დერეფანი - 40მ^2

2.5. პროექტი მომზადებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის, არსებული სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

2.6. დაინტერესებულმა კონკურსანტებმა უნდა უზრუნველყონ სამშენებლო ტერიტორიის ესკიზური ნაწილის წარმოდგენა (გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები).

3. საკონკურსო წინადადების წარდგენა

3.1. კონკურსანტმა უნდა მოამზადოს და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) ტექნიკური დავალების მიხედვით შედგენილი არქიტექტურული პროექტი;ბ) საინჟინრო-ტექნიკური ნაწილი (საინჟინრო კომუნიკაციების ნახაზები);
გ) სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა;

დ) შენობის 3D ვიზუალი (გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები);
ე) შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით);
ვ) ანგარიშსწორების პირობები და ვადები;
ზ) შესრულებული პროექტების მიხედვით განხორციელებული ობიქტების ფოტო მასალა, PDF–ფორმატში ჩD – ვერსის სახით 1-ეგზემპლარად;
თ) კონკურსანტის რეკვიზიტებს (დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი, საკონტაქტო ტელეფონი, ელ. ფოსტის მისამართი);
ი) უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი აფიდავიტი დანართი #1-ის შესაბამისად.

შენიშვნა: 1. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი ფორმით (ფერადი) სამ ეგზემპლარად, ისე CD ვერსის სახით PDF ფორმატში სამ ეგზემპლარად. თითოეული ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.
2. თითოეულ კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

3.2. საკონკურსო წინადადება კომისიას უნდა წარედგინოს დალუქულ კონვერტში.
კონვერტის ზედაპირზე მითითებული უნდა იყოს:
ა) კონკურსის დასახელება;
ბ) კონკურსში მონაწილის დასახელება, ფაქტიური მისამართი, უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

3.3. საკონკურსო წინადადება და ყველა დოკუმენტი/ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

3.4. მონაწილე პირების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

3.5. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 04 აგვისტოს 16:00 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. #65, სსიპ `საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის საკონფერენციო დარბაზში.

3.6. საკონკურსო წინადადებების გახსნაზე დასწრების უფლება აქვთ კონკურსანტი კომპანიის წარმომადგენლებს.

3.7. კონკურსის შედეგები გამოცხადებული იქნება საკონკურსო წინადადებების გახსნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

3.8. გამარჯვებული კონკურსანტის გარდა, კონკურსზე წარმოდგენილი ყველა წინადადება კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
შენიშვნა: საკონკურსო წინადადებების მიღებასა და მათ რეგისტრაციას (მიღების თარიღისა და დროის მითითებით) აწარმოებს საკონკურსო კომისიის აპარატი დოკუმენტაციაში აღნიშნულ ვადებსა და მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადების შეფასების წესი

4.1. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმების და მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით:

№	**შეფასების კრიტერიუმები**	**პრიორიტეტულობის კოეფიციენტები**
1	დიზაინი და საორიენტაციო პროექტი	0.4
2	ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილება	0.4
3	წინადადების ფასი	0.2
	სულ:	1.0

შენიშვნა:

- ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილებაში იგულისხმება "სენდვიჩ-პანელებით" კვლევით-სადიაგნოსტიკო დაწესებულების დაპროექტება.

4.2. საკონკურსო კომისია მოახდენს იმ საკონკურსო წინადადებების შეფასებას, რომლებიც დაიშვებიან შეფასებისათვის;

4.3. თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება 10 (ათი) ქულიანი სისტემით.

4.4. პრიორიტეტულობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ყველა კრიტერიუმის ჩამონათვალში თითოეული მათგანის ხვედრითი წილის ციფრობრივ გამოსახულებას. ყველა კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტების ჯამი შეადგენს ერთ მთელს.

4.5. საკონკურსო კომისიის ყოველი წევრი ცალ-ცალკე წერილობითი ფორმით, ახორციელებს თითოეული საკონკურსო წინადადების შეფასებას, რომლის დროსაც ყოველი კრიტერიუმის მიხედვით წინადადებისთვის მინიჭებული ქულა მრავლდება ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტზე, ხოლო მიღებული ნამრავლების დაჯამებით გამოითვლება თითოეული საკონკურსო წინადადების ჯამური შეფასება. საკონკურსო კომისიის წევრი აძლევს ხმას ყველა ჯამური შეფასებებიდან საუკეთესო მაჩვენებლის მქონე საკონკურსო წინადადებას. საკონკურსო კომისიის წევრი თავის შეფასებაზე წერს დასკვნას და ამოწმებს ხელმოწერით.

4.6. კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება ის კონკურსანტი, რომელსაც უპირატესობას მიანიჭებს საკონკურსო კომისიის წევრთა სიითი უმრავლესობა.

4.7. იმ შემთხვევაში თუ კომისიის წევრთა მიერ მიცემული ხმები თანაბრად განაწილდება კონკურსანტებზე, გადამწყვეტად ჩაითვლება კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.8. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების აუცილებელი პირობები

5.1. კონკურსში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
5.2. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები მოწონებულ პროექტში. აღნიშნული ცვლილებები ავტორმა უსასყიდლოდ უნდა ასახოს პროექტში.
5.3. ანგარიშსწორება გაწეულ მომსახურებაზე განხორციელდება პროექტის საბოლოოდ დასრულებული სახით წარმოდგენისა და მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო პროექტის წარმოდგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს:
1. გეოლოგიური კვლევის დასკვნა;
2. ტოპოგადაღება;
3. ესკიზური პროექტი;
4. არქიტექტურული პროექტი;
5. ვერტიკალური გეგმარება;
6. კონსტრუქციული პროექტი;
7. სანტექნიკური პროექტი;
8. გათბობა-გაგრილების პროექტი; (მოთხოვნაა ცენტრალური გათბობა და ინდივიდუალური კონდიცირება);
9. ძალოვანი ელ.ქსელის პროექტი;
10. სუსტი დენების პროექტი;
ა) სახანძრო სიგნალიზაცია;
ბ) კომპიუტერული და ინტერნეტ ქსელი;
11. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
12. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა;
13. საპროექტო ზედამხედველობა.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (პროექტი)

თბილისი *„–“ ------- 2014 წ.*

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ **სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია (შემდგომში „შემსყიდველი“)**

მდებარე ქ. თბილისი, გოძიაშვილის №65

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „----------“-ს** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მდებარე ქ. თბილისი, ----------

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საპროექტო მომსახურების (CRV 45223200) შესყიდვა კონკურსის საშუალებით..

4. მომსახურების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს --------- (----------) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

5. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადა

5.1. მიმწოდებელმა საქონლის სრული მოცულობით მიწოდება უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის ---------- -სა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. №65.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიღება–ჩაბარება მოხდება მომსახურების დასრულებისთანავე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს შემსყიდველის სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ხარისხი

7.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება საქართველოს მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში;

8. ანგარიშსწორება

8.1. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა;

9.2. შემსყიდველი პასუხს არ აგებს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

9.3. შემსყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია, შეუფერხებლად უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და პირობებით;

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების გარდა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა.

9.6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურებაში არსებული ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გარეშე.

10. კონტროლი

10.1 ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე განხორციელებული და/ან განსახორციელებელი მომსახურების ან საქონლის ხარისხის კონტროლს.

10.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს ლაბორატორიის დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი/ები.

11. ფასები

11.1. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.2. 11.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა 10%-ზე მეტი ოდენობით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
12.3. იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ფორს-მაჟორული სიტუაცია

13.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
13.2. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.
მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
13.4. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი
შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
13.6. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. ასეთი შეტყობინება მხარეს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლემდე არანაკლებ 5 დღით ადრე.
14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულეებების შესრულებისაგან.
14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
14.5. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას;
გ) მხარეთა შეთანხმებით;

დ) საქართველის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.6. 14.5. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის ---------- ჩათვლით.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
16.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
16.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. სხვა პირობები
17.1 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
17.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“.
17.3 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

„შემსყიდველი“ **„მომწოდებელი"**

დანართი №1

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ რომ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად
უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. საკონკურსო წინადადების ფასი;
2. საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
3. საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
4. ისეთი სკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ დააკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

*საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებლივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის ხელმოწერა----------

დანართი №2

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში: